

ნაკადი

ფასი 1 მან. 50კ.

№ 33 ორშაბათი 7 ივლისი

1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით

ღღეს გაზეთის შინაარსი:

- 1) რევოლუცია განსაცდელშია.
- 2) კვირული.
- 3) შენიშვნები.
- 4) კოლხური ბედი ჩვენში.
- 5) საქ. რევოლ. სინდიკ. მუშაობის პროგრამის ზოგადი დებულებანი.
- 6) დამფუძნებელი კრება და კონსტიტუცია.
- 7) საქ. სოციალ. მუშაობა კავშირის კრება.
- 8) ჟურნალ-გაზეთებიდან.
- 9) ახალი ამბები.
- 10) ქუთაისის ქალაქის გამგეობას.
- 11) ქ. ზესტაფონი.
- 12) ჩვენი ფოსტა.

დღეა-ქალაქი ივლისი 6 1919 წ.

მსოფლიოს იმ პერიოდისთვის განსაცდელშია დახმარებით რუსეთის მეფის გენერლები თანდათან ავიწროებენ რუსეთის რევოლუციას. დენიკინის შავი რაზმები გულმოდგინედ უტევენ რუსეთის შუაგულსკენ და თუ ბედმა მათ გამარჯვება არ გზავნის, დროებით მაინც აღსდგება რუსეთში საშინელი რეჟიმი ძალმომრეობისა და ძველურად მონობისა. ამას კარგად გრძნობენ ხელმძღვანელები უკრაინისა და ველისკოვსკის საბჭოთა მთავრობისა და თავგანწირულად მოუწოდებენ მოქალაქეთ, დაიცვან რევოლუცია შავი საფრთხისაგან. ძნელი სათქმელია, რა ხასიათს მიიღებს ეს უთანასწორო ომი; უთანასწორო-თქო ვამბობთ იმიტომ, რომ მაშინ, როდესაც დენიკინსა, კოლჩაკსა და იუდე-ნიჩს მოკავშირე სახელმწიფოები არ აკლებენ მოწყალების თვალს და გულუხვად ეხმარებიან, რუსეთის რევოლუცია თითქმის ყოველი მხრით გარს შემორტყმულია და გასაკვირველია ისიც, რომ იგი დღემდე უმკლავდება მრავალ მოსულ მტრებს. ეს ალბად იმით აიხსნება, რომ დიდია სურვილი თავისუფლების შენარჩუნებისა და ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვან სიკვდილს ამჯობინებენ. რუსეთის რევოლუციის დაქრობა იქნება დასაწყისი დიდი საერთაშორისო რევოლუციისა და ამიტომაც, შეძლებისდაგვარად, ყველა უნდა ცდილობდეს დაეხმაროს რუსეთის რევოლუციონერებს სამკდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, როგორც ეს ზოგიერთ ჩვენს ქვეყანაში მომწვედვულ ვითომდა „ბოლშევიკს“ წარმოუდგენია, თითქოს საქართველოც, ადგირბეჯანიც და სხვა ახლად დაარსებული

სახელმწიფო უეჭველად უნდა შეუერთდეს რუსეთს და ხელი აიღოს თავის ეროვნულ თავისუფლებაზე.

სრულებითაც არა! ჩვენ ვფიქრობთ, რომ თითოეული ერის მშრომელი ხალხი მოვალეა დაეხმაროს რუსეთის თავის თანამოძმეებს დღევანდელ კიბილში და შეძლებისათვის მათ იმპერიალიზმზე გამარჯვება. ამას მოითხოვს მისგან არა მარტო სოლიდარობის გრძნობა. არამედ არსებითი ინტერესი საერთაშორისო დიდი მოძრაობის დაცვისა და გატყვევებისა. დაცვისა ერის მხრივ, გარდა თავისი პარტიული ბატონობისა, სხვა არა აქვს რა საზრუნავი ხოლო მეორეს მხრივ ვისაც დღემდე ვერ განუმარტებია გაბატონებულ ერთ ფსიქოლოგია, ორივე დალატობს რევოლუციას და ხელს უწყობს რევოლუციის გამარჯვებას. დრო არის, გონს მოვიდეთ. დრო არის შევიგნოთ საერთო ინტერესები და ნაცვლად ერთმეორის უსაზღვრო სიძულვილსა, ყოველი ერის მშრომელმა ხალხმა ხელი მივსცეთ ერთიანსებური რაზმებით საშინელ რისხვად მოვევლინოთ ქვეყნის ბოროტ მოძალადეთ. დრო აღარ ითმენს, რევოლუცია განსაცდელშია! ამხანაგებო, მუშებო, აღადგინეთ ჩამტვრეული ხიდი, გაამართლეთ ურთიერთ-შორის დამოკიდებულება. რადგან შრომის ოჯახს არ შეეშვენის მტრების გასახარელი უთანხმოება; და მედგრად გასწიეთ წინ კომუნიზმის დასამყარებლად.

კვირული

ნერვების საშინელი დაჭიმვა ხდება ამ კვირაში! კლასთა ბრძოლის მოწინააღმდეგე სიამოვნებით აღნიშნავენ ამ დღეების მოვლინებას! ჯერ ის რად ღირს, რომ ძველი პარიზი კი ყუმბარების გრილით

შეხვდა გერმანიის პროლეტარიატის უბედურებას!

მსოფლიო რევოლუციის სინდრონი უკვე გამარჯვებას ღდესასწაულობს. ალბად ეხლა მშვიდად სძინავთ ციერ დიპლომატებს და გონიერ რომ ქვეყანა გადაურჩა „თოფის წამლის სუნს“!

გერმანელები ყოველთვის ღამაში და კეთილშობილნი იყვნენ! რანტკაუს სასოწარკვედილი სიტყვა ხიბლავდა კაცობრიობის კეთილშობილ ნაწილს, მაგრამ ულამაზესი მოქმედებით უპასუხეს გერმანელმა მეზღვაურებმა! დიდებული ფლოტი გერმანიის, რომელიც შიშის ზარს სცემდა მთელ მსოფლიოს ამაყად ჩაბურდა ოკეანეს ტალღებთა შორის... კლემანსოს გულის ტკივილს ასე კარგად მიუხვდნენ წითელი მეზღვაურები. ბაუერის ხელის უკან, საზავო პირობების კულისებში წყნარად და კეთილშობილურად დაიღუპა ძვირფასი ესკადრა უშიშარ გერმანელ მეზღვაურების.

საქართველოს ეუბნებიან ჩავოს მახვილი, და დენიკინის კეთილშობილებზე გვითითებენ! ჯიქეთის სადგურაკით ხაზით გვირდებიან დააშუშონ ასს თვრამეტის წლის იარები! თუ რუსეთის გლეხებს და მუშებს ჩვენს მფარველობას მოუხსობთ ეს ხომ კიდევ უკეთესი... ისტორიულ ციხე-სიმაგრეებს თუ დაეტოვებთ და გამაგრებულ კედლებთან უკან დაიხვეთ შემდეგ გამარჯვებული რევოლუცია ალბად არ შემოვა!

ასე მსჯელობს ვიღაც! რა კარგი იქნებოდა, რომ ეს პატივცემული პირი პატივცემულ საქართველოში ბრძანდებოდეს! შორიდან ძნელია საუკვეთლო სტრატეგიის გამოთქმვა!

დენიკინი ძლიერ ისწრაფვის! წითელი მოსკოვიც ეშაღდება! უკანასკნელი რევანში ალბად მომავალ კვირაში გაიმართება! საეჭვოა—რომ შავი ღეროლის თავმა სამეფო გვირგვინი იხილოს! კომუნიტები არც ისე ბრიყვი ხალხია... ავი ხალხია საზოგადოდ ყველგან მუშები და კონტრ-რევოლუციონერ უნტერ-ოფიცრებს უნდა ეშინოდეთ ზურგის გახურების მით უმეტეს ძველი ჟანდარმერიის ნაფლეთებს, როგორც ვიცით მეტად აი სწყალობს ჯადოქარი ლენინი!

კოლჩაკის ბედი! სასაცილოა! ერთად იხილა ბედიცა და უბედობაც! გამარჯვებაც და მარცხიც! დაბადება და სიკვდილი! კომუნიტმა ფრუიქმ მაშინვე გადაჭრით სთქვა: „კოლჩაკი ვოლგა ნე ვიდატ“-ო! მაინც ქართ-

ველი რაინდია! თავისებურად სთქვა მამა-პაპურად აასრულა! მოკავშირეებს სწყენიათ თურმე ვინა მოიწვევს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებას?! კერენსკიაც რომ მოიკითხა? სადღაც გადახვეწილა, —აქვსენ-ტივეც თანვე ხლებია ალბად. მასთანვე აწერს ხელს! ჩვენ არ ვნციოთ რა ეშველება უმაღლეს ტიტულს, რომელიც კოლჩაკს უბოძეს!..

ამიერ-კავკასიის მუშათა ყრილობა?! ჩაიშალა რა თქმა უნდა მიზეზი მრავალია... ჩვენ რომ მთლიანობა შევირჩინოთ ან შევქმნათ ღმერთი გვიწყენს! ჩვენი საქმეა კინკლაობა, შფოთი, ერთმანეთის უნდობლობა, გაუტანლობა და ეს აჯობინეს! მუშათა კლასის ბედზე ზედ გამოჭრილია „ასე იყო, ასე იქნება“, ამაშია ჩვენი ტრაგიზმი, ჩვენი უბედურება!! გულსატკენია, მაგრამ რა! საჭიროა ცდა მთლიანობისკენ, მეგობრობისკენ. უნდა გაიხსნას საბედისწერო გორდის კვანძი—სინდიკალისტები აქ ფხიზლად უნდა იყვნენ უმჯველად. ჩვენც ხომ ძალა უფლებას არ გვძებთ?

საქართველოსა და ადგირბეჯანის ხელშეკრულება! ამ მეზობლებს ხანდისხინ ეძულვართ, მაგრამ არის დრო როდესაც უყვარვართ! ბევრია ჩვენ შორის საერთო, სამეზობლო, სამეგობრო და ამიტომაც პირველი საფეხური უეჭველად სასიხარულო მოვლენაა! თუ ვეცდებით უფრო კეთილი განწყობილება შეიძლება დამყარდეს!..

სომხეთი, სომხეთი! სამწუხარო მეტად! გამოგვითქმა! ცბიერობს დაშაყვუტუნი! არ ვარგა ეს! მძულვარებით იქნებოდა მუშათა კლასის სულსკვეთება. კმარა რაც რომ ვეწამეთ! ძმათა შორის სისხლი უმანკო დიღვარა! არ გვეპატიება! რაც მტრობას დაუტყვევია სიყვარულს უშენებია! რას ამბობენ ნეტავი სომხები მუშები? სრულებით არაფერი ისმის იმათ შესახებ! აქ მათი ხმა გადამწყვეტი იქნება თუ მოინდობენ!

სასიხარულო ამბებია! ლონდონში მუშათა კლასი იღვიპებს! 21 ივლისს საერთო გაფიცვა მზადდება თურმე! ას გასინჯეთ პოლიცია კი აპირობს გაფიცვას!

კარგია როცა „ოლიცია“ უწინ შეიგნებს რევოლუციის საჭიროებას, იქნება მუშები მაინც გაარევოლიუციონერონ...

ჩვენი მთავრობა საწღვარ-გარედ ახალგაზრდობას გზავნის, ცოდნის,

განათლების მისაღებად! დიდებული აზრია! თუ სასაცილოა არ იქნება ვიტყვი: მუშებიც რომ კეთილ ენებებით და იქაურ შემოქმედებისათვის გაეცნოთ! მაგრამ არა სოც.-დემოკრატიულად! ცოდნა და განათლება უპარტიოდ! ყველასათვის მეტად საჭირო და სასარგებლო არის რა თქმა უნდა, თორემ მარტო სოც.-დემოკრატიული განათლება მთლად კარგი ვერ იქნება! სწავლაშიც ძალა უფლება დავამკრიბეს! რომ ინებდენ, სასიხარულო იქნება!

გაზეთების ცნობით კოლჩაკისა და დენიკინის შეილებული, ბაოუმის ცნობილი მოლაღატე ქართველი ღენ. ნათიშვილი მოუკლათ... „კავკასკოვ სლოვო“ ამბობს მთელი ღამე ეძებდნენ მკვლელს! მარჯვე ბიჭი ყოფილა მკვლელი თერამეტი ტყვიის შემდეგ თავისუფლად შესდგომა თავის გზას! ვინა შეადგენს ამიერ-კავკასიის კოპრუს? დენიკინს უცილობლად სამძიმარი სჭირა?... ეს კვირა ჯერ-ჯერობით სხვას არაუერს გვეუბნება.

ს. კოლხიდელო.

შენიშვნები.

„ამ უხარ-მაზარა გონებრივმა და რევოლუციონერმა მოძრაობამ სამი უმთავრესი აზრი დაამკვიდრა“—ამბობს რუსის ცნობილი კომუნიტ-ანარხისტი, პ. „კროპოტკინი, და ეს სამი აზრი ღრმად შეიჭრენ ამ 30 წლის განმავლობაში საზოგადოების თვითშემოქმედებაში.

ეს სამი პუნქტი ამ აზრის მოგვყავს უცვლელათ. პირველი—ამბობს ატორი:

„არის მოსაზრა შრომის ქირის, რომელსაც კაპიტალისტი აძლევს მუშას, რადგანაც ეს ქირა სხვა არა არის—რა გარდა თანამედროვე ფორმა მონობისა და ბატონობისა.“

მეორე: „მოსაზრა კერძო საკუთრების უფლებისა ყველა იმ საგნებზე, რომელიც საჭიროა წარმოებისათვის.“ და მესამე: „საზოგადოებისა და პიროვნების განთავისუფლება პოლიტიკური მონობის იმ ფორმებისაგან, რომელიც მოწყობილია ეკონომიური ბატონობის გასამტკიცებლად და დასაცავად.“

ეს სამი პუნქტი, რომელიც კონკრეტულ ფორმებში ჩამოაყალიბა ცნობილი ანარხისტი-კომუნიტმა პ. კროპოტკინმა; მართლაც კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ეს სამი უმთავრესი აზრი უტრიალებდა მოწინავე მუშებს ევროპაში, ამაზრის გარშემო სხვადასხვა მიმართულება შეიქნა სოციალისტებში. ერთი გარკვეული გზა უნდა ითქვას არვის ჰქონია ამ საკითხ-

ში, გარდა სინდიკატებისა. ესენი კი. ამას პრაქტიკულად ანხორებდნენ, რაც შეეხება დანარჩენ სოციალისტებს ვერც ესენი უარყოფენ პრინციპიულად ამას, როგორც თვით ავტორის სიტყვებიდან სჩანს, „რადგან საბოლოო მიზანი ყველა სოციალისტების არის კომუნიზმი და სოციალიზმი“, ამისათვის თუ ის მართლაც კომუნიზმი სოციალისტია რაც არ უნდა სახელმწიფო თვალსაზრისზე იდგეს. უარყოფა მართლაც ამ სამი, კონკრეტულ მაგალითისა არ შეუძლია.

ჩვენ ვიცით ევროპაში თვით სოც. დემოკრატების პარტიაში ძლიერ ბევრი მიმართულება იყო, მაგალითად ჟორესისტები, ბებელისტები, გელი-სტები და სხვა მრავალი, ესენი ყველანი სახელმწიფო თვალსაზრისზე იდგნენ, მაგრამ უარყოფა რომელიმე ზემოდ ჩამოთვლილ პრინციპის არ შესძლებოდათ, თუმცა ერთმანეთს კი უკარანხებდნენ ღიატს სოციალიზმისას.

მაგრამ ჩვენ გვინტერესებს არა ის თუ როგორ შეხედეს ამას სოც. დემოკრატები, არა, ჩვენ გვინტერესებს შესძლებდნენ თუ არა მუშები ჩვენში ამას, დამოუკიდებლად იმუშავონ და დაიწყონ გატარება ცხოვრებაში ამ სამი პრინციპის? ევროპაში ჩვენ უკვე ვიცით არსებობს დამოუკიდებელ მუშათა კავშირები, რომლის მიზანია ეკონომიური მოწოდებისა განთავისუფლება შრომის, უფლების, ამ მხრით ძლიერ ძალას წარმოადგენენ იქ რევოლუციონური სინდიკატები, ჩვენში კი სხვა ნიშნად სწამთ განთავისუფლება შრომის, ეს განიხილეთ თუ პოლიტიკურ პარტიების წყალობით მოხდება. ეს რწმენა თუ არ აღმოიფხვრება ჩვენი ქვეყნის მუშების თავში ყოველთა შეუძლებელია რაიმე ასეთი პრინციპის გატარება ცხოვრებაში და დღეს ჩვენ რომ გვგონია თითქმის ევროპის მუშებს უსწრებთ და უკან მაინც არ ვრჩებით, ტყვილი იქნება და ყალბი ეს შეხედულება. ჩვენ უნდა შევქმნათ საკარტელოში წმინდა მუშათა ეკონომიური დამოუკიდებელი მოძრაობა.

დღიურებში ჩვენ აღარ უნდა გვქონდეს, რადგან ამას აღარ მოითხოვს ჩვენი ინტერესი და არც მომენტური, საკუთარ კლას თვით მისი შემადგენელი ნაწილი უნდა გაუძღვეს წინ, დღეს და ხვალ თუ არა კრატხნის განმავლობაში მაინც უნდა მოხდეს სოციალისტური რევოლუცია ევროპაში, ამის ნიადაგი უკვე კარგა ხანია მზათ არის, როგორც ეს ზევით ვნახეთ. კომპარტიკის აზრი ამ შემთხვევაში მართალია, და ის ზემოთ, რომელიც გაუმართავთ ევროპის დროშაქმულ კაპიტალისტებს ძლიერ ხანმოკლეა. რადგან პირისპირ ედგმვართ სოციალისტურ რევოლუციის წინაშე, და ამიტომ ჩვენშიაც უნდა შესძლოს მუშათა კლასმა დამოუკიდებელი მოძრაობა და მოამზადოს საამისო ნიადაგი, და ერთი წუთითაც არ უნდა დაგვაფიქვდეს პირველ ინტერნაციონალის დევიზი: „მუშათა განთავისუფლება—მუშათა საქმე“, შეყუბება ვინმეს და მის იმედზე დადგომა ყოველად მიუღებელია და მიუტოვებელი დანაშაულია, ასე რომ საჭიროა თვით მუშებში მოხდეს განხორციელება იმ სამი კონკრეტული მაგალითის, რომელიც კარგა ხანია შემოქრილია თანამედროვე პროგრესულ ადამიანთა აზროვნებაში.

იონა.

კომპარტიკის გილი ჩვენში.

რიდვა კომპარტიკის დიდი გაქცევის შვილია, დიდი უსამართლობის და უზნეობის ვაჭრობ-წარმოებაში როგორც უსამართლო პრეტესტი არსებულ ბურჟუაზიულ გაცვლა-გამოცვლისა და სიმდიდრის განაწილების, რომელსაც კომპარტიკა უმზადებს უტყუარს დამარცხებას და საგრძნობ ბურჟუების გამოცლას; თავდაპირველად იყო ერთგვარი ქველმოქმედური დაწესებულება და პირი მაშვრალ, ლატაქ ხალხისკენ ჰქონდა მიქცეული.

ზნეობრივ-კულტურულ მხარეს ეს მოძრაობა არც შემდეგში გაუზრდოდა და კომპარტიკის მამამთავართა მიერ გადმოცემულ წესდებებში და მათ საკეთილად მიმდევართა სამაგალითოდ დებულებებში ყოველთვის ხაზი აქვს გასმული კომპარტიკის ამ მხარეს.

შველა, დახმარება, სიღუბნებიდან ამოყვანა, ჩარჩების ბრწყალვებიდან განთავისუფლება, მწარმოებელთა მალის შექცევა—ი როგორი დევიზები ჰქონდა და უნდა ჰქონდეს ამგვარ საქმიანობას. ცხადია, ვინც შველის, ის შველის მსაქირობელისაგან არაფერს უნდა გამოელოდეს, გარდა საკუთარ სულიერ კმაყოფილებისა, ცხადია ვინც დახმარებას უწევს ვისმე არა იმ აზრით და ქვენა გრძნობით უნდა იყოს გამსჭვალული, რომ აქედან დიდს ხეირს მოელოდეს. ყველაფერი ხალხს, ყველაფერი ამ ხალხის გაძვალტყავებულ ნაწილს და ამისთვის არც პატივს, არც დიდებას არ უნდა მოველოდეთ, მეტი მიეცით ხალხს, მაქსიმუმი ენერგია შესწირეთ მას და ან ნურაფერს გამოელოთ მისგან, ან მკირეზე იყავით კმაყოფილნი, რომ მოინადიროთ მისი გული, მოიპოვოთ მისი ნდობა—ეს პირველი ხვრელი, ეს აუცილებელი პაწია კარები ხალხის მესაიდუმლოთ გამხდენი.

ხალხის ნამდვილი ქომავი, მისი ჰირის და ვარამის შემგნე და გამზიარებელი, უდიდესად დაჯილდოვებულად სცნობს თავს, როდესაც ხედავს მშობელ ერის გამოღვიძებას, ამაღლებას სულიერად და ნივთიერად. არააარს კაცურ-კაცისთვის ამაზე უმაღლესი ბედნიერება!

როდესაც ამ ერთად ერთ ნამდვილ და მიუცილებელ საზომით შევხებით ჩვეს კომპარტიკებს, გულნატკენმა უნდა ვსთქვა—ღმერთო გვიხსენ ასეთ მახინჯ დაწესებულებადანო.

კოქლ ძაღლმა კურდღელი რომ მოგებრუნოსო, მეტი რალა გინდაო, ნათქვამია ხალხში. მთლად წაგვართ ჩვენი კომპარტიკების ნაღვაწი არავის შეუძლიან, მაგრამ მის დღევანდელ და წარსულ უკუღარ-ობაზე, მის კოქლობაზე და მეტად არა კომპარტიკულ მოქმედებაზე კი ძალიან ბევრი შეიძლება ითქვას.

დღე ერთია, თქმა ათასი—კომპარტიკებში ქურდობაა, კომპარტიკებში უფრო ძვირათ არის ყველაფერი, ვიდრე ბაზარში და კერძო მოვაკრებთან, კომპარტიკის გამგენი გაივსნენ და გამდიდრდნენ და სხვ... კომპარტიკის პირველი მცნება—კომპარტიკის კარები ღიაა ყველასთვის და შიგ შესული გარეთ სტოვებს თავის პარტიობასაც და მსოფლმხედველობასაც მთლად დაიწყებულა ჩვენში, როგორც ყველაფერი სხვა, ეს დაწესებულებაც პარტიულ მიზნებისთვის გამოიყენება.

კომპარტიკების გამგეობაში არჩევნები პარტიების ბრძოლის გავლენის ქვეშ ხდება და რასაკვირვებელია ყველაფერი ეწირება გამარჯვების მოპოვებას; გინდაც სათიკეს წამოსკუბება მოუხდეს ამა თუ იმ დაწესებულებაში გამარჯვებულ მხარეს ამაზე იგი არ ზრუნავს, ოღონთ თავისი გაიყვანოს.

დღე მუდამ წაიკითხავთ ამა თუ იმ გახეთში ანგარიშს არჩევნებზე კომპარტიკებში და თან ყოცლოჩინურ დასკვნას: გამარჯვება ჩვენი პარტიის წევრმა, ამდენი ჩვენი გაიყვანეთ და სხვ. განა ამის გამოქვეყნებლმა, იცის რას სჩადის?

კომპარტიკებში მოსამსახურეთ ევროპაში უდიდესი სასყიდელი მიიღეს და საუკეთესო სახელმწიფო მოსამსახურენი გადაყვანილ იქმნენ კომპარტიკებში, მაგრამ არა იმ თავით, როდესაც კომპარტიკები უსახსრონი და ბურჟუაზიის კლანტებ გაყრილნი იყვნენ მაგრად. როდესაც მღვდელიც გაძა და ერიც, როდესაც კომპარტიკის წევრნი საგრძნობლად მოლონიერდნენ და მოალონიერეს თავისი მუშაინიც. სამართლიანია ხალხი და არავის ჩაუტარებს უქმად დათესილ სიკეთეს.

ერთნაირი უკუღმართი ბედი მხვდა ამ ქვეყნად—რასაც კი ვერიდებოდი, სწორედ ის გადახდა ცხოვრებაში. კომპარტიკაში დიდი წინააღმდეგი ვიყავ კავშირთა-კავშირისა და ისიც ამიერ-კავკასიისა. ვიყავ იმიტომ, რომ კომპარტიკულ მოძრაობაში, როგორც სხვა ყველა დარგში, ერს, როგორც ასეთს, ბევრი რამ თავი-ბური შეაქვს; ეს აღვიარებულობა და დამტკიცებულობა ყველა ქვეყნის კომპარტიკის ისტორიით. ვიყავი იმიტომ, რომ, იმ ერთი ანდახისა არ იყოს—შვილი არსად იყო და აბრამს კი არქმედნენო,—კავშირები არსად იყო და კავშირთა კავშირი საიდან უნდა დახმარებულყო. მაგრამ მიუხედავთ ამისა სწორედ მე მხვდა სამისო ყრილობაზე მოწვევის ქაღალდის დაწერა.

ალბად ამ უკუღმართობას დაჰყვა ყველა სხვა უკუღმართობა. ამ არჩევნებზე უკიდურესი პარტიული ჟინიანობა გამეფდა და აქ კომპარტიკებში მოღვაწეთა ნასახიკი წაიშალა, დღევანდელ კავშირის მოღვაწეთ, რომელთაც ფხვის გულში გადაცვეთილი უნდა ჰქონდეთ სიბილით ხალხისთვის სანოვან-ნივთების იაფად შოვნაში და მედიდურად კი დანავარდობენ ეტლ-ავტომობილებით, ბევრი კუდის აწევა და სინდისთან ვაჭრობა დასჭირდათ არჩევნებში.

რაკი ასეა საქმე დაწყებული, სხვისა ჰირი ღობეს ჩხირია—და უფიკთ იწყეს კომპარტიკულ საქმის ყირამალა დატრიალება. ხალხი ვინ არის, მისი შველა რაში გვეკითხება, ჯერ თაო და თაოვო, მერე კოლო და შვილოვო. როცა სოფლის კომპარტიკები წივიან, როცა იქ საარაკო სიძიერეა ყველაფრის, კავშირიდან თუ ისე მოპოვებული საქონლის, აქ კავშირში განცხრომა და აუარებელი შტატი, იქ—სოფლად წაბაძვა და ათი ტყავის გაძრობა მომხმარებლებისა, რომ აინაზღაურონ ჯამაგირები და ბედნიერებაში, კავშირებს არ ჩამორჩენ. რის კომპარტიკი გაიძახის შინაური და გარეული, აქ საჩარჩოა და სხვა არაფერი.

გერმანიას რომ მოგვო ეს ომი, ამზობდნენ ასე დაიწყებოდა: 1870

წელს ომი მოგვო სოფლის მასწავლებელმა. 1914 წელს კი—კომპარტიკაში. ასეთი დიდი იყო დახმარება გერმანიაში კომპარტიკებისა და ასე დიდათ აფასდნენ იქაური მოღვაწეები ამ მოძრაობას.

კვლავ ასე უყურადღებოთ დაიტოვა კომპარტიკული მოძრაობა, თუ მას არ ჩაუდგება სათავეში განათლებული და იდეური ადამიანები სახელმწიფო დიდს ზარალს ნახავს; ახალგაზრდა რესპუბლიკა დიდის ხნით ვერ იხილავს თავის გულის ნადების განხორციელებას, თუ სინდისზე და პატიოსნებაზე აგებული კომპარტიკებით არ იქნება დაფარული ჩვენ სამშობლო.

საჭიროა მედგარი ხმა ნამდვილ კომპარტიკართა და, იმედია, უკუღმართობა მალე გაივდება.

ცელი.

სინდიკალისტ გაშვრალთა კავშირის პროგრამის პირველი დიდი პუნქტი.

(გაგრძელება იხ. „ს.ბ. ნაკ. № 32“).

მაკაქ განმარტება უმაღლესი მუხლებისა

2. კაპიტალიზმი.

შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალიზმის წესწყობილებას უმთავრესად ორი უკუღმართობა ახასიათებს:

1) დაშორება მწარმოებლისა საწარმოო იარაღებისაგან.

2) პროდუქტების შექმნის წარმოების მხრივ სოციალური ხასიათი, ხოლო მითვისება-მოხმარების მხრივ ინდივიდუალისტური.

საჭიროა, ვიცოდეთ როგორ წარმოიშვა ბურჟუაზია, რომელმაც მიი-საკუთრა საწარმოო იარაღები.

რადგანაც ვერც ერთი მწარმოებელ საზოგადოებას ვერ შეეძლო შეექმნა თვითონ ყველა საჭირო ნივთები ცხოვრებისათვის და იძულებული გახდა სხვა საზოგადოებიდან და ადგილებიდან შეეყოს. თავისი ნაკლი ან ნივთებისავე გაცვლა-გამოცვლით ანაც მათი ფულად ქცევით და შემდეგ მათი შეძენით, ამიტომ საჭირონი შეიქმნენ ერთი დანიშნული ადგილები—ცენტრები, სადაც ხალხი თავს მოიყრიდა თავიანთ ნაწარმოებით მათ გასაცვლელად ან გასასყიდად და საჭირო საგნების შესაძენად. ეს ადგილები შეიქმნა პირველ ქალაქებად, სადაც პირდაპირ ან შუამავლობა (ვაჭართა) საშუალებით ხდებოდა ეს საჭირო მიმოსვლა და ვაჭრობა. აი სწორედ ასეთ პირობებში იჩინა თავი ბურჟუაზიამ. შეძლებული მოქალაქე მოინათლა „ბურჟუას სახელით, რადგანაც თვით სიტყვა „ბურჟუა“ „ქალაქელს“ ნიშნავდა. ამ მიმოცვლის ოპერაციით ბურჟუა ფულიან კაცად იქცა და მალე ქალაქის თვითმართველობის მეურნეობის და ფინანსების ხელმძღვანელობაც ჩაიგდო ხელში. მაგრამ რაკი მასზედ მაღალი კლასები და პიროვნებანიც არსებობდნენ, როგორიც იყო ფეოდალური არისტოკრატია წოდებრივ პრივილეგიას მოკლებული ბურჟუაზია მათგან ერთგვარ ჩაგვრას განიცდიდა, რომლისაგანაც იგი თავს უმეტესად ფულით ინთავისუფლებდა. ერთი სიტყვით ფული გახდა მისი სათაყვანებელი საგანი და ამიტომ პატიოსანი თუ უპატიოსნო გზით სიმდიდრის შეძენაზე ფიქრობდა.

*) განმარტება სიზოგადოდ მეორე პროექტის მიხედვითაა შედგენილი.

ხშირად ფეოდალურ უკუღმართობაში ნაკლებ სარგებლობდა, თუმცა ჩამო-მავლობით კეთილშობილი არა ბრძანდებოდა.

შემდეგში, როდესაც თანდათან ბით ორი საჭირო ელემენტი კაპიტალიზმის წესწყობილებისა კანტა-ლი და სწარმოო ძალა—შემზადებულ იქნა, ბურჟუაზია საოცარი ენერგიით შეუდგა თავის მეუფების დამყარებას და ზოგან და სწავლი ხალხის ქვედა-ტანას. ეს ხალხი ამ ახალ ბატონსაც ზიზლით უყურებდა, ბურჟუა კი თავის მხრივ დიდი სიძულვილით შესცქეროდა ადისტოკრატის.

სოფლის მშრომელი ხალხი, მემამულეთა მიერ განაწამები, ემზადებოდა მათი დამხობისათვის და მიწა-ადგილების ხელში ჩასაგდებად. ქალაქის მაშინდელი მკირე რიცხოვანი პროლეტარიატიც გრძნობდა თავის წამებას. სურდა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ სამწუხაროდ იმ დროს არც მათ და არც გლეხობას არ გააჩნდათ ერთი საერთო იდეა და თავის დანიშნულების სათანადო შეგება. გამოფხიზლებულმა და წელ-მომავრებულმა ბურჟუაზიამ ისარგებლა ამ მდგომარეობით და შეიარაღდა არა მარტო ფეოდალ-სენიორების დასამხმად, არამედ თვით ხალხსავე წინააღმდეგ გასამჯდავებად, თუ ისინი შორს წავიდოდნენ თავიანთი ინტერესებისა და უფლებათათვის ბრძოლაში. ასე გამოზადებული უცდიდა დროს ბურჟუაზია და, როცა გლეხობა ფეოდალების წინააღმდეგ აჯანყდა, ბურჟუაზიამ კიდევ მეტად წააქება იგი და ქალაქის მაშვრალთ კი ძმობა-ერთობა-თავისუფლების ქაღალდებით ბრძოლის სული გაუცხოველა და ამგვარად მან მთელი ხალხი ფეოდალიზმს დააჯახა. ამ ბრძოლაში ფეოდალიზმი დამარცხდა და რევოლუციის მთელ ნაყოფს ბურჟუაზია დაეპატრონა. რეალური, აქტიური უფლებები თვით მისსაკუთრა, პროლეტარიატს თავისუფლების შორიდან ტრფიადრებას ფიქტიური უფლებები მიუგდო და მიწებიც სოფლის გამდიდრებულ გლეხებს ჩაუგდო ხელში. ამგვარად მაშვრალი ხალხი მოტეუქული დაწნა, ხოლო ბურჟუაზია მისთვის წარმოების მიუფედ იქცა. იმდებამთი შრომა გაჟეფდა, რომლის საშინელ იარაღად საოცარი შიმშილი გახდა.


მუშა უსულა მამანის სულაქ დაბატებად გადაიქცა. ბურჟუაზიამ თავის შრომის მაგიერ განახდა სხვათა შრომა გახდა და თვით სიცოცხლეც მუშასა კანტადის საკუთრებად და ნავთად აქცია.

დაეპატრონა იგი ქვეყნის სიმდიდრეს და თავისი ბატონობა საშინელ მონობაზე დაამყნო და დამტკიცა. დღეს არსებითად უკვე სიბერისა და სიკვდილის მოახლოების ჟამს განიცდის ბურჟუაზიის სამეფო.

როგორია ბურჟუაზიის მიერ დამყარებული კაპიტალიზმი?

კაპიტალის ტენდენცია არის შეტ-დარეპუებასი მუდმივი ზრდა. ამზრდის პირობა კი—მუდმივი მოქმედება და მუდმივი ცირკულაცია.

მაშინდის განვითარებამ საუკეთესო პირობები შექმნა კაპიტალის ზრდისა, რადგანაც მან ქაღებისა და პაჟუების იაფ-ფასიანა შრომის გამოყენება შესაძლებელად გახდა, რამაც კიდევ უფრო დასც ხელფასი მუშას და წარმოშვა სარეზერვო დიდძალი ანაზა შრო-დეტარატისა. მართალია მუშის ხელ-



ლიც არსებითად ცენტრალიზაციის მა-
ტარებელია. პარლამენტი მათთვის
უმაღლესი უფლების პატრონია და
ხალხს არა აქვს უფლება ჩაერია
მის მოღვაწეობაში და კანტროლი
გაუწიოს მას. რადგან პარლამენტი,
მათი წარმომადგენით, იგივე ხალხია,
რომელმაც თავისი უფლებები საყო-
ველთაო ხმის მიცემით გადასცა დე-
პუტატს და მას მიანდო სახელმწიფო
საქმეების გადაწყვეტა. ამიტომ არის
სწორედ რომ პარლამენტი დიდმნი-
შვნელობას აძლევს პარლამენტს და
მიზნად დაისახეს, მარქსის ანდერძის
თანახმად, ბრძოლა საყოველთაო არ-
ჩენების უფლებისათვის და შექმნა
სოციალ-დემოკრატიული უმრავლე-
სობის პარლამენტი.

აქედან უკვე ერთი ნაბიჯი-და
დარჩებოდა პროლეტარიატის დიქ-
ტატურამდის, რომელსაც პარლამენ-
ტი ჩაუდგებოდა სათავეში და შესაძ-
ლებელი გახდებოდა სოციალურ რე-
ვოლუციის მოხდენა. აი თეორია
მარქსიზმისა, რომელსაც სოციალ-
დემოკრატები, როგორც მარქსისტე-
ბი, გვერდს ვერ აუხვევენ და არც
საქირობენ დაშორდნენ მას. თუმცა
ვიცით, რომ ევროპის პრაქტიკამ
მარქსის იმედები პარლამენტზე გააბა-
თილა, თუმცა მათ აქამდის ვერ მოა-
ხერხეს კი პარლამენტარული უმრავ-
ლესობის შექმნა და სოციალური
რევოლუციის მოხდენა, თუმცა
ფრიდრიხ ენგელსი გადაჭრით ამბობს:
„ბოლოს და ბოლოს მქონებელთა
კლასი ბატონობს საყოველთაო სა-
არჩევნო უფლების საშუალებითო“,
მაგრამ ისინი ამ პრაქტიკას არ და-
გიღევენ, უარადღებან არ აქცევენ
და პარლამენტრიზმის სიმერას სწი-
რავენ მხსვერვალად კეზმარიტ დემო-
კრატიზმს.

ი. ვარაზაშვილი.
(შემდეგი იქნება).

ქარნალ-გაგაშვილი

ვენა, ივლისის 1. ბრბომ გაან-
თავისუფლა ყველა დაპატიმრებული
კომუნისტი. დემონსტრანტები შემ-
დეგ ყაზარბებისკენ გაემართნენ. რა-
თა ჯარი თავის მხარეზე მიეხრათ,
დემონსტრაციები საღამომდე გაგრ-
ძელდა, მოძრაობა თანდათან ფართო-
ვდა. აჯანყებულებმა ხელში ჩაიგ-
დეს ჯავშნიანი ავტომობილები, რომ-
ლის დაბრუნება მთავრობას აღარ
შეუძლია.

სტოკჰოლმი, ივლისის 25. საერ-
თო მოძრაობა ინგლისის მუშებში
თანდათან იზრდება. მუშების გაფი-
ცვებთან ერთად პოლიციელთა გა-
ფიცვას მოელიან, არა მარტო ლონ-
დონში, არამედ სხვა ქალაქებშიაც
პოლიცია პროფესიონალურ კავში-
რის დაარსებას მოითხოვს. საერთო
მდგომარეობა ინგლისის მთავრობის
თვის საშიშია. ლონდონიდან იუწყე-
ბიან, რომ კანდაში ქ. ვინიპეგში
საალყო წესები გამოაცხადეს. ფრან-
გულ გაზ. „პრემანტში“ სოციალი-
სტების შემდეგი მოწოდება იყო და-
ბეჭდილი: მუშებო და გლეხებო
თქვენ იცით საფრანგეთის ჯარის
სიმაძაქე შავ ზღვაზე, მან უარი გა-
ხაცხადა ეანდარმის როლში გამო-
სულიყო მათ წინააღმდეგ, ვინც წი-
თელი დროში აღმართა. ეხლა სო-
ციალისტური პარტია მოგიწოდებთ

თქვენ, იტალიის და ინგლისის მუ-
შებს, შეუერთდეთ მათ ვინც გაფი-
ცვას გამოაცხადებენ, თუ ინგლისის
ჯარი რუსეთიდან არ იქნება გამო-
ყვანილი. პირველ მოწოდებისათა-
ნა ვე გამოდით რუსეთის და უნგრეთის
რევოლუციის დასაცავად.

პელსინგფორსი, იენისის 28.
ლონდონში ინგლისის მუშათა კონ-
ფერენციამ გენდერსონმა გამოაქვეყ-
ნა ინგლისის, საფრანგეთის და იტა-
ლიის მუშების დიდგენილება, რომ
ივლისის 21-ს დემონსტრაციები მოაწ-
ყონ.

სან-სოცალ-ტაბა-პროტესტ

სენის სოციალისტების ფედერაციამ
მოიწვია პარიზის მუშების კრება ზა-
ვის პირობების განსახილველად. კა-
მეათე მეტად მწვავე იყო. ვერფოიმ
კარად უსაყვედურო სოციალისტურ
რიტებს ომში მონაწილეობა.

— როცა ომი გამოცხადდა, — ამ-
ბობს ის, — თქვენ მომხრე იყავით
მოპოვების გამოცხადებაზე საერ-
თო გაფიცვით გეპასუხნათ. მაგრამ
1914 წ. აგვისტოში ვაგრამის დარ-
ბაში, თქვენ საფრთხით გამოიცა-
ლეთ თქვენი აზრი; ეს გაუგებარია.

ჩემის აზრით, ვერსალის ზავი არის
უარესი, სვიდრე ბრესტილიტოვსკისა
და ამჟღავნებს ვილსონის თავისუფ-
ლების და სამართლიანობის იდეების
ჩაშლას.

ვერსალის ზავი არის კლემანსოს
ზავი და ჩვენმა წარმომადგენლებმა
უნდა ერთხმად გააცხადონ უარი მის
ხელის მოწერაზე.

მოქალაქე ლუდვიგ ოსკარ-ფოსარ-
დი პარტიის მდივანი, ეგრედვე გა-
ნიხილავს ზავის წინაპირობების
ტექსტს, რომელიც იმის აზრით არის
მხოლოდ ერთგვარი კომპრომისი
ვილსონის იდეოლოგიისა და ინგლი-
სის იმპერიალიზმისა.

ერთა ლიგა მხოლოდ მოტყუებაა,
ვინაიდან მის ნაცვლად ბატონობს
ქვეყნიერების მოკესპოლოატაცია კა-
პიტალისტების სინდიკატი. მხოლოდ
სოციალიზმს შეუძლია უზრუნველ-
ყოს ხალხთა მშვიდობიანობა.

მოქალაქე მარსელ კაშენი, პარ-
ტიის პოლიტიკური დირექტორი,
გამოდის ეგრეთვე წინააღმდეგ იმ
რეგენისა, რომელიც დაკისრებული
აქვს სარის ბასენის რკინის მარ-
ცხენა მხარეს მცხოვრებთ.

უფლებრივი ზავი გადაიქცა ძალა-
დატანებითი ზავად, ამბობს ის. ამის
გარდა, გერმანელი სოციალ-დემო-
კრატები ჯერ არ არიან აღჭურვილი
უფლებით ილაპარაკონ გერმანიის
რესპუბლიკის სახელით, და ჩქარა,
უნდა გვექონდეს ამის იმედი, პაზეს
და დამოუკიდებელთა გამარჯვება
აიძულებს მოკავშირეებს უფრო გო-
ნიერი ენით ლაპარაკს.

თავის მხურვალე წინააღმდეგობით
მოქალაქე კაშენი ზიზღით ჰგმობს
მოკავშირეთა პოზიციას, რომელიც
მათ დაიჭირეს რევოლუციისათა მი-
მართ მათი ზედი-ზედ ჩასახრჩობად:
ჰუნგრეთში რუსეთის შემდეგ, გერ-
მანეთში ჰუნგრეთის შემდეგ.

მოქალაქე ლორიო ლაპარაკობს
ჩვეულებრივად ლოლიკურად, შეურ-
ყვევლად. ვინაიდან ბურჟუებს შეუძ-
ლიანთ მხოლოდ ბურჟუაზიული ზა-
ვის შეკვრა, ცხადია, გვმართებს ბურ-
ჟუაზიის დამოხდა თუ გვინდა მოვი-
პოვოთ რევოლუციონური ზავი.

კენკის კრის შემდეგ მიღებულ
იყო შემდეგი რეზოლუცია: „სო-
ციალისტთა კრება, აღნიშნავს-რა
რომ ის დაპირებები, რომლითაც
მთავრობებმა დაიპოვიეს ხალხი ომი-
სათვის, დღეს გამოიხატება იმისათა-
ნა მხოლოდ პირობებში, რომელშიაც
სამართლიანობა არის დარღვეული
თითქმის ყველა ფრაზაში, გამოსტ-
ვამენ აღშფოთებულ პროტესტს მო-
ბის და სამართლიანობის თავიანთი
იმედების ამგვარად გარდაქმნის წი-
ნააღმდეგ. და ავალენენ პროლეტა-
რიატის ყველა ორგანიზაციებს გააჩა-
ლონ უძლიერესი ბრძოლა იმპერია-
ლიზმის წინააღმდეგ, რომელიც ან-
ტანტის ნიღაბ ქვეშ მოქმედებს“.

(„მატ.“)

ახალი ამბავი.

საქართველოს რესპუბლიკის მფინახე-
თა და მფინახეთა კონგრესი.

მიმდინარე წლის 25 მარტიდან
თვეს კახელ მფინახეთა კოორეა-
ტიული საზოგადოების „კახეთი“-ს
მეთაურობით მოწვეულია საქართვე-
ლოს მფინახეთა კონგრესი. კონგრეს-
ზე განხილულ იქნებიან ფრად სა-
ყურადღებო კითხვები მფინახეობასა
და მფინახეობაში. დაწვრილებით
იქნება შეხვედრა.

რედაქციამ მიიღო ახელი გამოცე-
მული წიგნაკი ალ. გორგაძის „სა-
კულტურო მუშაობა ჯარში“.

მთავრობა დაკავდა გაზეთები „ეოლ-
ნა“, „მშხატორი“ და „საქართვე-
ლო“.

საქ. რევ. სინდ. მაშვარალმა
კავშირის კრება.

სამშაბათს, ივლისის პირველს, სა-
ღამოს 8 საათზე საექიმო დარბაზის
შენობაში მოხდა ტფილისის კავში-
რის წევრების და თანაგრძნობების
შერთებული კრება, კრება გახსნა
ტფილისის მთავარ კომიტეტის თავ-
მჯდომარე ალ. წერეთელმა და გა-
ხაცხადა აგრეთვე კრების თავმჯდო-
მარე და მდივანი, კრებამ ერთხმად
აირჩია თავმჯდომარეთ თოფანე ჩი-
ქოვანი და მდივანთ იონა ბაქრაძე.
თავმჯდომარე კრებას აცნობს დიურ
წესრიგს და მოკლეთ ახასიათებს მო-
მენტის მდგომარეობას და პარტიის
მუშაობას და ამბობს ასეთი კრება
უფრო ადრე უნდა ყოფილიყო მო-
წვეული, შემდეგ ეძლევათ სიტყვა
ორგანიზაციების წარმომადგენლებს,
პირველი სიტყვა ეკუთვნის ევსეი
კევილიშვილს ტრამეის ორგანიზაციის
სახელით, ფარმაცეტიდან თ. ჩიქო-
ვანმა, რკინის გზის ორგანიზაციის
ახელით დათიკო დევდარიანმა, გა-
ზეთისა და რედაქციის მდგომარეო-
ბის შესახებ ი. ბაქრაძემ. მოხსენებას
აქეთებს აგრეთვე ქიათურის ორგანი-
ზაციიდან გველესიანი. ამის შემ-
დეგ ამხ. ალ. წერეთელი აქეთებს
მოხსენებას თანამედროვე მომენტზე,
მოხსენება ამხანაგის მეტად ლამაზი
და კეზმარიტებას შეიცავდა, მან
ძლიერ ბევრი ისტორიული მაგალი-
თები მოიყვანა და შეადარა დღევან-
დელ მომენტს და გააშუქა ვერსალის
ხელშეკრულობა და დაამტკიცა მისი
ხანმოკლე სიცოცხლე, სიტყვა რომ
ეს იქნება ზავი კი არა, არამედ მუ-

დამ ომის მიზეზი და ერთა შორის
შუღლის მიზეზი და ამიტომ მას
არა აქვს დიდი ხნის სიცოცხლის
სახეო. შეეხა ჩვენი მიმართულების
ისტორიის ევროპაში და როგორ
წარმოიშო სინდიკალიზმის იდეა ევ-
როპაში, სიტყვის შემდეგ დიდი ტა-
შის ცემით დაჯდოვებს ამხანაგი.
შემდეგ ლაპარაკობს ბესო ქეღბაქიანი
მუშათა მოძრაობის შესახებ და მეტად
კოხტად და ფსიხოლოგიურად დახა-
სიათა საქართველოს მუშები და
აგრეთვე ჩვენი კავშირის მიზანი
გააშუქა და სიტყვა, რომ მომავალი
საქართველოში დიდი ნიადაგი აქვს
ამ მიმართულებასო. ესეც დიდი
ტაშით დააჯილდოვებს. შემდეგ იყო
შეკითხვები და ამზე პასუხი გასცეს.
კრება დაიშალა 21 საათზე დიდად
ნასიამოვნებით.

ინბანი.

ქუთაისის ქალაქი გაგვიმო-
ბას.

ერთხელ კიდევ იძულებულ ვარ
მივაქციო თქვენი ურადღება შემდეგ
გარემოება: მაშინ როდეს ქალაქ
თფილისის გამგეობა მხოლოდ უკა-
ნასკნელ ხანებში, საჭირო მასალების
მეტის მეტად გაძვირების გამო, იძუ-
ლებული შეიქმნა გაედიდებია ფასი
ხელოვნურ ყინულზე 1 ფუთი თორ-
მეტ მანეთამდე, ჩვენ ქუთაისის მრ-
ქალაქენი ვიწყოფებით რა ბ-ნ მიტ-
როფანე ლალიძის სრულ განკარგუ-
ლებაში იძულებული ვართ ვიხადოთ
ერთ ფუთ ყინულში სამოცი მანეთი
და როგორც მონანი უნდა უმად-
ლოდეთ რომ კიდევ ზევით არ სწევს
ამ ფასს.

გაცნობებთ რა საქმის ასეთ მდგო-
მარეობას გთხოვთ გვიპასუხოთ მიი-
ღეთ თუ არა თქვენ რაიმე ზომები,
რომ ბოლო მოგვლათ ბ. ლალიძის
უაზლობისათვის? თუ მას დაუბრკო-
ლებლივ შეუძლია კვლავ ძარცვოს
ქუთაისის მოქალაქენი.

უხმო ხმოსაი.

ქ. ზესტაფონი.

ნოქარ - შევირდები ზესტაფონში
ძლიერ ოულ პირობებში იმყოფებიან.
ვინ არის პატრონი, ვინაა ყურის
მგდებელი? ადგილობრივი მთავრობა
ყურადღებას არ აქცევს ღუქების
გაღება-დაკეტის საქმეს. თითონ ხომ
პასუხის მიცემა არ შეუძლიანთ, რად-
გან პატარები არიან; მცირე ნაწილი
კი ღიღებია ისინიც არ დაეძებენ.
საერთოდ უორგანიზაობა არის ამ
დარგში, ამისათვისაც რასაც კი უბრძა-
ნებს ხაზინი, ის უნდა დასრულოს; ასევე

ხდებოდა ძველ დახატებულ მთავრო-
ბის დროსაც პირველად გამოაცხა-
დებდნენ მთავრობის მიმართულებას
მაგრამ მერე უანდათ მიმართულები
და ყურადღებას ამათი შეცვლა.
მაგრამ შიში კი ჰქონდათ: ჩამოიგ-
ლიდა თუ არა „პრისტავი“ ან „აკა-
ლოჩნიკი“ — არიქა მოდისო და მა-
შინვე შეძვრებოდნენ სოროვში.
ასევე ხდება ეხლაც. შარშანწინ, 1917
წელში, შესდგა ხაზინ-ნოქართა
შორის „მომრიგებელი კამერა“ დაიწ-
ყო მუშაობა, იმართებოდა კრებები
და გამოსცეს 7 იენისის თარიღით
წესდება, რომელშიაც მოხსენებული
იყო რვა საათის სამუშაო დღე. ერთ
წლამდის ძლიერ გასტანა ასეთი ფიცი-
ხელი განკარგულების ასრულებამ;
მაგრამ გაიარა თუ არა ხანა, ყოვე-
ლივე ჩაიშალა: აღარც კრებები და
აღარც წესდების ასრულება! რისი
რვა საათი, რისი ათი საათი, იმათ-
თვინ სულ ერთია...

ინათლებს თუ არა, მაშინვე აღე-
ბენ და დაკეტვა ხომ იმათი საქმეა?
ეს ყოველივე კარგი, მაგრამ კვი-
რა დღეს მაინც უნდა გვექონდეს
თავისუფლება. იმ დღესაც ვაქრობმა,
ვერც ვღებულობთ შრომის ფასს.
ყველაფერი იმატებს და ჩვენი ჯამა-
გირი კი არა, ორშაფათიდან დაწყე-
ბული შაფათამდინ ფეხზე დგანან
საწყალი ნოქარ-შევირდები და კვირა-
დღესაც კიდევ არაფერი, ერთი ორი-
ოდე ხაზინი დაჯარიმეს, მაგრამ თქვენ
გგონიათ გადახდევინეს? სრულია-
დაც არა; თავისი ხრიკიანი პრაქტი-
კით ისევე ამოაშლევინეს.

ამისათვის, ვინაიდან ჩვენი მოზარ-
დი თაობა მოკლებულია ყოველივე
კულტურას, პრესის საშუალებით
ესთხოვთ ადგილობრივ მთავრობას,
როგორც მუშათა ინტერესების დამ-
ცველს, ყურადღება მიექციოს ნო-
ქარ-შევირდების ასეთ კრიტიკულ
ცხოვრებას და ხაზინების თავდასუ-
ლობას.

„ნოქართავანი“

ჩვენი პოსტა.

ძირულის პირველს. ვთხოვთ მო-
გვაწოდოთ კარესპონდენციები.

რედაქტორ-გამომცემელი.

სარედაქციო-კაღეგი

გამოვიდა და იყიდება

გალაქიონ ტაბიძის

ლექსთა მეორე წიგნი, რომელ-
შიაც მოთავსებულია ავტორის
ლექსები 1914—1919 წლამდის.
წიგნი სუფთათ არის შედგენი-
ლი და ძვირფას ქაღალდზე და-
ლირს 25 მანეთი.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გ ა ზ ე თ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ერთხელ
კვირაობით

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 1 მან.

დაკვეთა შეისლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5,
იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და
საღამოს 6—8-დენ.